



ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“

შინაგანაწესი



შინაარსი

მუხლი 1. შინაგანაწესი, მისი მიზნები, მოქმედების სფერო.....	3
მუხლი 2. შინაგანაწესის წყაროები.....	3
მუხლი 3. კოლეჯის მიზნები და ამოცანები	3
მუხლი 4. კოლეჯის საქმიანობის სფერო	4
მუხლი 5. კოლეჯის მართვის ორგანოები	4
მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ორგანიზება.....	4
მუხლი 7. შეფასების სისტემა.....	4
მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები სასწავლო პროგრამები.....	5
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებები.....	5
მუხლი 10. სამუშაოზე მიღებისას დამსაქმებლისათვის წარსადგენი დოკუმენტები და პირობები.....	6
მუხლი 11. სამუშაო დრო და დასვენების დრო.....	7
მუხლი 12. სტუდენტის/დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა.....	7
მუხლი 13. დასაქმებულის ვალდებულებანი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, მივლინებაში ან შვებულებაში გასვლის დროს.....	7
მუხლი 14. შესვენების დრო.....	8
მუხლი 15. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები.....	8
მუხლი 16. შვებულება და მივლინებაში გაგზავნის წესი.....	8
მუხლი 17. შეთავსებით მუშაობის უფლება.....	8
მუხლი 18. დასაქმებულის წახალისება.....	8
მუხლი 19. დასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი.....	9
მუხლი 20. დასაქმებულის ხელფასი	9
მუხლი 21. დასკვნითი დებულებები.....	10

**არასამეწარმეო არაკომერციული იურისიული პირის პროფესიული კოლეჯი
„განთიადი“-ს
შინაგანაწესი**

მუხლი 1. შინაგანაწესი, მისი მიზნები, მოქმედების სფერო

1. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ შინაგანაწესი (შემდგომში–შინაგანაწესი) განსაზღვრავს კოლეჯის (შემდგომში–„კოლეჯი“) შრომის განაწესს და მიზნად ისახავს:

- ა) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;
 - ბ) კოლეჯსა და მასში დასაქმებული პირებს (შემდგომში- „დასაქმებული“) შორის შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას;
 - გ) პროფესიული სტუდენტის/დასაქმებულის უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობას;
 - დ) შრომის სამართლიან ანაზღაურებას;
 - ე) პროფესიული სტუდენტის/დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას;
 - ვ) პროფესიულ სტუდენტთან, დასაქმებულთან და მესამე პირებთან ურთიერთობისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების გამოხატვის ხელშეწყობასა და დაცვას;
 - ზ) ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას;
2. პროფესიული სტუდენტი, დასაქმებული შრომის ხელშეკრულების პირობების დაცვის ვალდებულების გარდა, ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი.

მუხლი 2. შინაგანაწესის წყაროები

წინამდებარე შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, ააიპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ წესდების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 3. კოლეჯის მიზნები და ამოცანები

კოლეჯის მიზანს წარმოადგენს:

- ა) სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, მრავალდარგოვანი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა.
- ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- გ) დასაქმების ხელშეწყობა;
- დ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა,
- ე) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.
- ვ) პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- ზ) განსაკუთრებული საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნა;

თ)საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი სასწავლო პროექტების განხორციელება;

მუხლი 4. კოლეჯის საქმიანობის სფერო

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია სათანადოდ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიღება;
2. კოლეჯი ვალდებულია სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის დროს შექმნას ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო;
3. პროფესიული ორიენტაციის განხორციელების მიზნით კოლეჯი თანამშრომლობს დამსაქმებელთან და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
4. კოლეჯი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვას.

მუხლი 5. კოლეჯის მართვის ორგანოები

კოლეჯის მართვის ორგანოებია დირექტორი და სამეურვეო საბჭო. რომელთა დანიშვნის/შექმნის წესი და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის წესდებით.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან შეთანხმებული, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
2. მოკლევადიან არასაბიუჯეტო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება/დამთავრება, მეცადინეობის დაწყების დრო, შესვენების ხანგრძლივობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეადგენს თეორიული მეცადინეობების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის და საგამოცდო პერიოდების ერთობლიობას, რომლის მოცულობა განისაზღვრება სასწავლო კვირით/აკადემიური საათით.
5. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს საგაკვეთილო განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
6. საგაკვეთილო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - საგნის დასახელება;
 - მასწავლებლის სახელი, გვარი;
7. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს 6 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი-45 წთ), რომელთა შორის შესვენება 5 წუთია; დიდი შესვენება - 15 წუთი.

მუხლი 7. შეფასების სისტემა

1. სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება როგორც სწავლის პროცესში ასევე თეორიული კურსის დასრულების შემდეგ, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს თავისი ცოდნის დემონსტრირება მოახდინოს სასწავლო პროცესის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით და გზით. შეფასებისას ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესზე დასწრებას, საკლასო აქტივობებს (გაკვეთილზე აქტიურობა, შემოქმედებითობა), ცოდნის დემონსტრირების უნარს საკლასო და სამუშაო გარემოში. შეფასება ხდება სხვადასხვა ფორმით, როგორცაა: ტესტი, სამუშაოს შესრულებაზე დაკვირვება, ანგარიში, პრაქტიკული სავარჯიშო, ნასწავლის დემონსტრირება, ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები, ზეპირი გამოცდა, პრეზენტაცია, პორტფოლიო და ა.შ.

- 2.საკვალიფიკაციო გამოცდის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია მიენიჭება 51-100 ქულის მიღების შემთხვევაში;
- 3.გაცდენილი საათების ყოველთვიური შეჯამებისას სტუდენტის მიერ 30 აკადემიური საათის გაცდენის შემთხვევაში ყველა საგნის საშუალო მიმდინარე რეიტინგი უნდა შეადგენდეს 40 ქულის მინიმუმ 50% (20 ქულას) იმისთვის, რომ სტუდენტმა გააგრძელოს სწავლის პროცესი;
- 4.მიმდინარე შეფასება ფასდება საბოლოო გამოცდამდე ერთი კვირით ადრე; საბოლოო გამოცდაზე არ დაიშვებიან სტუდენტები, რომლებსაც არ ექნებათ მიმდინარე შეფასება;
- 5.დადებით შეფასებად ჩაითვლება:
- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.
6. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.
7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

- 1.კოლეჯში პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე შინაგანაწესით;
- 2.პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს არეგულირებს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული -პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა”.
- 3.პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებები

- 1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:**
- ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ბ)დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცყოფისაგან;
- გ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- დ)გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლობიერი ქმედება;
- ე)კოლეჯის არამართლობიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:**
- ა) არ გააცდინოს სასწავლო პროცესი;

ბ) მეცადინეობის მიმდინარეობის დროს არ დატოვოს აუდიტორია;

გ) დაემორჩილოს ამ შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს.

დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

ე) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.

4. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანების შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს).

5. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეატყობინოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დარღვევის და კოლეჯის თანამშრომლებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება შემდეგი დისციპლინური ზომები:

- არასრულწლოვან სტუდენტისათვის მშობელთან დაკავშირება და მასთან მოთათბირება;
- გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენელთან;
- საყვედურის გამოცხადება/გაფრთხილება;
- გამოსაცდელი ვადის დაწესება;
- კოლეჯის სერვისით სარგებლობის აკრძალვა;
- კონფისკაცია, კოლეჯის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების შეტანისას (იგულისხმება ჩართული მობილური ტელეფონი, ლაზერი, იარაღი და სხვა);

6. ჩამოთვლილი კორექციული ღონისძიებების ამოწურვის შემდეგ საკითხი განიხილება კოლეჯის ადმინისტრაციის სხდომაზე, პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დათხოვნას და/ან გარიცხვასთან დაკავშირებით (შესაბამისად შეწყდება კოლეჯსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება);

7. პროფესიულ სტუდენტზე დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს სტუდენტის მიერ ჩადენილი დარღვევის თანაზომიერი;

მუხლი 10. სამუშაოზე მიღებისას დამსაქმებლისათვის წარსადგენი დოკუმენტები და პირობები

1. შრომითი ხელშეკრულების დადებისას დამსაქმებელი უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადი რეზიუმე (CV) ან ავტობიოგრაფია;

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ასლი;

მუხლი 11. სამუშაო დრო და დასვენების დრო

- 1.სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.
- 2.კოლეჯში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ასევე შაბათი დღე, როგორც სასწავლო დღე.
- 3.ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 9:30 საათიდან 18:30 საათამდე.
- 4.დასაქმებულს და პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაისვენოს დასვენების დღეებში და შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში.

მუხლი 12. სტუდენტის/დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა

- 1.სამუშაოზე დაგვიანება შესაძლებელია ჩაითვალოს საპატიოდ ან არასაპატიოდ ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით.
2. სამუშაოზე დაგვიანება და სამუშაო დროის სხვა სახის გაცდენა საპატიოდ ჩაითვლება თუ დამსაქმებელი დააკმაყოფილებს დასაქმებულის ზეპირ ან წერილობით თხოვნას დაგვიანების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე. ამ მიზნით დამსაქმებელი უფლებამოსილია დაგვიანებისთანავე დასაქმებულს მოსთხოვოს მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა.
- 3.იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი (უფლებამოსილი პირი) სამუშაოზე დაგვიანების ან სამუშაო დროის სხვა სახის გაცდენის თაობაზე დააკმაყოფილებს დასაქმებულის ზეპირ ან წერილობით განცხადებას - ახსნა-განმარტებით ბარათს, აღნიშნული სამუშაო დროის გაცდენა მიიჩნევა საპატიოდ.
- 4.სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანების ან/და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევებში, კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია ამ შინაგანაწესითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
- 5.სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანებად და გაცდენად არ ჩაითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობების კოლეჯის შენობის გარეთ შესრულება, რაც გამოწვეული იყო შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო ადმინისტრაცია.
6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს, არ დაიგვიანოს და დაესწროს ლექციებს.
7. ლექციაზე დაგვიანება ან/და გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ იმ შემთხვევაში თუ კოლეჯის ადმინისტრაცია დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის (მისი კანონიერი წარმომადგენლის) ზეპირ ან/და წერილობით თხოვნას დაგვიანების ან/და გაცდენის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.
8. კოლეჯის ადმინისტრაცია ან/და სტუდენტის მასწავლებელი უფლებამოსილია დაგვიანებისთანავე დასაქმებულს მოსთხოვოს მოხსენებითი ბარათის (ახსნა-განმარტების) წარმოდგენა.

მუხლი 13. დასაქმებულის ვალდებულებანი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, მივლინებაში ან შვებულებაში გასვლის დროს

- 1.დასაქმებული ვალდებულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან ორი დღის ვადაში უზრუნველყოს სამსახურთან დაკავშირებული და მისთვის მინდობილი დოკუმენტაციის (შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით) და ქონების პასუხისმგებელი პირისათვის გადაცემა.

2. დასაქმებული ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე ან მივლინებაში გამგზავრებამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემა დამსაქმებლისათვის შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით.

მუხლი 14. შესვენების დრო

1. დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით.
2. დასაქმებულს ეძლევა შესვენება სამუშაო დღის 13:30 საათიდან 14:30 საათამდე.
3. შესვენება არ შედის სამუშაო დროში და დასაქმებული მას იყენებს თავისი ნება-სურვილის შესაბამისად. დროის ამ შუალედში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან გასვლის წასვლის უფლება.
4. თუ შესვენების დრო ემთხვევა დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული დღის 13:30-14:30სთ. მონაკვეთში შესასრულებელ ვალდებულებას, დასაქმებული უფლებამოსილია ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ისარგებლოს შესვენებით ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულის შესვენების დროისგან განსხვავებულ დროს.

მუხლი 15. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები

1. ამ შინაგანაწესით დადგენილ დასვენებისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროის შემდგომ სამუშაო ადგილზე მუშაობა შესაძლებელია:
 - ა) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (ან ზეპირი დავალების შესაბამისად), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში.
 - ბ) საკუთარი ინიციატივით, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე.
 - გ) დასაქმებული, რომელიც ამ შინაგანაწესით დადგენილი პირობების დაცვით იმყოფება არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე (დასვენების ან უქმე დღეებში, სამუშაო დროის შემდეგ) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, მათ შორის ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოება და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას.

მუხლი 16. შვებულება და მივლინებაში გაგზავნის წესი

1. დასაქმებულს აქვს შვებულების უფლება, რაც მოიცავს კალენდარული დღეების ერთობლიობას, რომლის განმავლობაშიც იგი დროებით თავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.
2. დასაქმებული ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე 3 დღით ადრე მაინც მოხსენებითი ბარათით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
3. მივლინებაში გაგზავნის ინიციატორი შეიძლება იყოს დასაქმებულს რომელიც დირექტორის სახელზე მივლინების დაწყების თარიღამდე 5 სამუშაო დღით ადრე ადგენს დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს მივლინების მიზნის, დროის, ადგილისა და დაფინანსების წყაროს, ასევე მივლინებიდან მოსალოდნელი სასურველი შედეგის მითითებით. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას.
4. შვებულებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს და შვებულებაში გასვლის წესს ადგენს საქართველოს შრომის კოდექსი.
5. მივლინებასთან დაკავშირებულ საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 17. შეთავსებით მუშაობის უფლება

დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს დამსაქმებლის თანხმობისა და ამ შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვის პირობით.

მუხლი 18. დასაქმებულის წახალისება

1. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას დასაქმებულის წახალისების შესახებ:

- ა) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც აღემატება დასაქმებულის ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან;
- ბ) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურებრივ მოვალეობებში, მაგრამ შესრულებულია სანიმუშოდ;
- გ) განსაკუთრებული სირთულის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისთვის;
- დ) ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისთვის;
- ე) კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- გ) ფულადი პრემია.

3. დასაქმებულის წახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 19. დასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი

1. დისციპლინურგადაცდომასწარმოადგენს:

- ა) სამსახურებრივი მოვალეობების და წინამდებარე შინაგანაწესის მოთხოვნების ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- ბ) კოლეჯისათვის მატერიალური ზიანის ბრალეულად მიყენება ან ასეთი ზიანის მიყენების რეალური საშიშროების შექმნა;
- გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

3. კოლეჯის დირექტორი, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) სამსახურიდან გათავისუფლება;

4. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 20. დასაქმებულის ხელფასი

1. დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს განსაზღვრული თანამდებობის, კვალიფიკაციის და საშტატო განრიგის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. დასაქმებულს ხელფასი ეძლევა თვეში ერთხელ, თვის ბოლო კვირის განმავლობაში.

3. კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას საბანკო თუ სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემებში წარმოქმნილი მიზეზებით ხელფასის გაცემის შეფერხებაზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

4. დასაქმებულის ხელფასი გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით, პირად ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

1. კოლეჯი ვალდებულია კოლეჯში დასაქმებულებს და პროფესიული სტუდენტებს გააცნოს კოლეჯის შინაგანაწესი და ხელი შეუწყოს კოლეჯში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნას;
2. კოლეჯის შინაგანაწესი არ ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ადამიანის უფლებებს;
3. წინამდებარე შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.